

„Doroba“

Ա Տ Ե Ր Ա Խ Ո Յ

Հարուցող մշակնալոծութեա

Ա Շ Վ Ե Լ Ա Խ Ո Յ

ԲՅԵԼՈ ՇՈՑԵՑՈՒԴԱՆ ԱԿՈԵՑՄՈՂՈ

Ց. ՔՐԵՇՆԱԺՈՏԱԳԱՆ.

ՊԱԿ 2 ՋԱԲ.

ԹՑՈՒՑՈՒԹ

ՍՐԱՑՑԱ ԸՆԿ. ՑՈՒՆԱԳԱՍԻ

1919



Ա Ե Ց Թ Կ Ի Տ

ქართული მკურნალობისა

՝ ԱՊՅԵԼԵՆ ԸՆԹՈՒԳՆ ՝



ප්‍රඟලු ඩිස්ත්‍රික්ටුව ප්‍රඟලු

፭. የጊዜና ሰነድ.



გაერთიან ვიქტორ გელიაშვილი-ვიქ.



ତ୍ୟଗିଲାନିଶ.

სტამბა „ქართლი“ თ-დ მ. ი. ციციშვილისა პუშკინის ქუჩა.

1917 8.

ქართული სამკურნალო მწერლობა.

ქართულ ენაზე საექიმო სწავლის და მწერლობის აღორძინება ძველის-ძველს დროს ეკუთვნის. ამის შეტყობას და გადაწყვეტით ხელის დადგებაზე, მე მგონია ჯერჯერობით ვერავინ რას იტყვის, თუ ექიმობა საქართველოში როდის უნდა იყოს შემოსული და აღორძინებული. ამ საგანს, არამც თუ დღეს, არამედ ქართველთ ძველ მკვლევართ და მეისტორიებმაც არ მიაქციეს ყურადღება, ეს საყურადღებო საგანი არა ხდებოდა ლირსი მათგან აღწერის, გაცნობის და განვითარების. ყოველისფერი თავისებურის გზა-კვალით მიდიოდა წინ ქართველთა ცხოვრებაში, ყველაფერი შეუმჩნევლად რჩებოდა.

რაც ძველია და რა ნაკლიც ძველ ქართველ მეისტორიეთ აქვნდათ, იგივე გამოაჩნდა ჩვენი დროის მწერლებსაც. ჩვენს დრომდის ამ კითხვების შესახებ სულ ათიოდე წერილი დაწერილ-დაბეჭდილა, აი ამასაც აქედგანვე მოგახსენებთ: ერთი წერილი რუსულ ენაზე დაიბეჭდა „კავკასიის კალენდარში“, სამი წერილი გაზეთ „დროება“-ში, პატარა წერილი — „ივერია“-ში და ორი წერილიც „კავკასიის საექიმო კალენდარში“. ორ-სამ პირსაც დღემდის დაუბეჭდავი წერილები აქვთ.

ჩვენი ექიმობის ისტორიას ქართველნი სულ არ ვიცნობთ, არ იცნობენ უცხოელნიც. თვით ჩვენი მეზობელ და მფლობელ რუსეთის ექიმებსაც-კი სრულიად არაფრის წარმოდგენა აქვთ, ესენი ჩვენ როგორ გავამტყუნოთ, როდესაც თვით ჩვენ ქართველნიც არ ვიცნობთ ჩვენს საექიმო მწერლობას. ერთხელ ქართველ აქიმებთა შორის, ერთ ალაგას, საუბარი ჩამო-

ვარდა, „რომ კარგი იქნება, ქართველმა ეჭიმებმა ქართული საექიმო წიგნები შეისწავლონ და მერე ეს ნაწარმოებნი ჩვენც გაგვაცნონ და სხვებსაც გაუზიარონ“. ერთმა ახალ დროის ეჭიმმა ასე ბრძანა: „მე ქართული „კარაბადიმების“ ართვერი მესმის, ჯერ ეგ თქვენი საექიმო წიგნები რუსულათ გადმოთარგმნეთ, მე წავიკითხევ, გავიცნობ და მერე თქვენც გაგაცნობთო, თუ არა და მე ამას ვერ შევძლებო“. უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთი განცხადება ერთისაგან კი არა გვსმენია, არამედ მრავალთაგან.

ადრე, მხოლოდ, პატივცემული ბახუტაშვილი, ქართულ გაზეთებში აცხადებდა, რომ ქართული „კარაბადიმების“ შესწავლა მინდა და გთხოვთ, ვისაც ამის შესახებ რამე მოგეპოვებათ, დამითმოთ და მომაწოდოთ მეო. ეს განცხადება ჩვენ დიდის სიამოვნებით წავიკითხეთ, ვისურვეთ განცხადების ნატვრის შესრულება, გვინდოდა მასალების მიწოდება, მაგრამ არ განვლო დიდმა დრომ, რომ იგი მონატრე ეჭიმი გარდაიცვალა. დარჩა საქმე შეუსრულებელი. განვლო დრომ ზოგიერთა პირებმა კვალად განაცხადეს სურვილი ამ საგნის გაცნობის, ძლივ-ძლივობით აქა-იქ გამობუტილნენ, აი ეხლაც ეჭიმი აბელ ოქროპირის ძე იაშვილი სწერს ქართულ ზოგიერთ კარაბადიმებთა გარჩევას, რუსულ ენაზე, რომელიც რუსულ საექიმო „კრებულში“ დაიბეჭდება. პატივცემულმა მკვლევარმა ერთი წიგნი უკვე გამოსცა რუსულ ენაზე, სახელდობრ: — „Народная медицина Въ закавказскомъ Краѣ“. ამას გარდა ორმა-სამმა ფარმაცევტებმაც იმუშავეს. ამათ განაცხადეს, რომ ჩვენ ქართულ საექიმო ლექსიკონებს, ანუ ტერმინოლოგიას ვაღვენთო. ორმა თავიანთი ნაშრომები დაბეჭდეს კიდეც. ამათზე უნდა ითქვას, რომ მათ ეს ტერმინები ქართული ძველი კარაბადიმებიდამ ამოკრიფეს, რუსულს და ლათინურს სიტყვებს შეუდარეს, მაგრამ ამ ტერმინებსაც არ ქონდათ თავისი სისრულე, ბევრი რამ ნაკლი ჰქონდათ, მაგრამ რა გაეწყობა ჩვენთვის ესეც სანაქებოთ დარჩა.

დრეპერის სიტყვით მეცნიერებათა შორის ყველაზე საუკეთესო ძვირფას მეცნიერებათ მკურნალობა უნდა ჩაითვალოს. ამ აზრის იყო არამც თუ მარტო დრეპერი, არამედ მთელი ახალ დროის სწავლულნი და მეცნიერნიც. ამასვე ამბობენ თვით სამეცნიერო ფილოსოფიის წარმოშადგენელნაც, რომ კაცობრიობისათვის ყველაზე ძვირფასს მეცნიერებათ მკურნალობა უნდა ჩაითვალოს. მკურნალობა არის ისეთი მეცნიერება, რომელიც კაცობრიობას ასწავლის თავის თავის მოვლას, შენახვას, სიცოცხლის დაფარვას, მავნე სენისაგან გადარჩენას და უდროვოთ სიკვდილის აცდენასო. დღევანდლამდე საექიმო მეცნიერება ბევრ რამეს მიწვდა, ბევრი რამ სატკივრების ვითარება გაიგო, ბევრი გამოარკვია, ბევრ სატკივარს მოევლინა მათგან კურნება, ბევრი გადარჩა უდროვოთ სიკვდილს, მაგრამ კაცობრიობას აქვს ბევრი ისეთი სატკივრები, იარები და წყლულები, რომლის ვითარებას და მკურნალობას აწინდელი ექიმობა სულ ვერ მიხვდა, მაგ. ბნედა და ბევრი ასეთი რამ საექიმო მეცნიერებისათვის დღევანდლასდე საიდუმლოთ რჩება, უკურნებელ სენათ.

გარდა ამისა დრო და გარემოება, ხშირათ ისეთ ჭირსაც აჩენს, რის წამლობაც ერთობ რთულ საქმეს შეადგენს, მეცნიერ ექიმთათვის მიუხვედრელს, მაგრამ ნელა-ნელა ყველაფერი წინ მიდის, ყველაფერს ნათლის შუქი ეფინება და იმედია, რომ ოდესმე საექიმო მეცნიერებაც იმ ზომამდე ავა, იმ წერტილამდე, რომ მისთვის დაფარულათ არა დარჩება რა, ყველას ახსნის, ყველა სნეულებათა მიზეზებს თავისს საიდუმლოების ფარდა გადაეხდება, შესაძლებელი იქნება, რომ ყველა სუსტ აგებულების მექონს ახალგაზრდას თავის სამკურნებელი, სხეულის და სისხლის გასამაგრებელი წამალი, საშუალება მოევლინოს, იგი მით სიკვდილს გადარჩეს და ამ გადარჩენით კიდევ მისი მშობლებიც მწარედ არ ატირდენ, ბევრ მშობელს არ დაუთუთქოს მწარედ გული.

ვიტყვით თამამათ, რომ ევროპის მსწავლულ ქართველთ

მკურნალობის შესწავლა ბევრს რამე უცხო მასალებს მისცემს
მათ სამკურნალოთ. ქართულ მკურნალობაში და „კარაბაღი-
მებში“ აღმოჩნდება ბევრი ისეთი რამ წამლობა და მკურნა-
ლობა, რის კურნება კი არა და იქნება ევროპიელთ ხსენებაც
არ იციან, ევროპიელთ ასეთ ძვირფას მკურნალობის არაფე-
რი შეუტყვიათ და ჩვენს წიგნებში კი იგი უქმათ არის დარ-
ჩენილი. რა უნდა მერე ამას, მარტოთ ქართული კარაბაღიმე-
ბის მოძებნა და მათი შესწავლა, შესწავლა-გაცნობა და იმედია.
რომ მის შემდეგ, ქართული მკურნალობა და „კარაბაღიმები“
მათვისაც საყურადღებო გახდება და პატივსაცემი.

ამ მძიმე საქმის შესრულების ვალი ქართველ მკურნა-
ლებს აწევთ კისერზედ, მათ უნდა იდვან ეს თავსა და ქართ-
ველი ძველი მკურნალობა და სამკურნალო წიგნები და მწერ-
ლობა აუცილებლათ უნდა გაიცნონ. დარწმუნებული ვართ,
რომ ამათის გაცნობით ქართველი ექიმები არ შერცხვებიან,
და იმ პირთაც პირში ლაგამს ამოსდებენ, რომლებიც ლაპა-
რაკობენ, რომ ქართული ექიმობა „ზნახარკების“ მოგონი-
ლიაო. ქართული სამკურნალო მწერლობის გაცნობას არამც
თუ მარტოთ ჩვენი ვალი შეაღგენს, არამედ მისი მოვალეა
თვით ჩვენი მთავრობაც და ევროპის მსწავლულნიც მით უფ-
რო, რადგანაც რაც დრო გადის, მით დედამიწაზედ ბევრი
ისეთი სატკივრები ჩნდება და მატულობს, რაც იქნება ძვე-
ლათ გასაგონათაც არ იყო. ქართული სამკურნალო წიგნები
კი ჩვენს მკურნალებს ბევრს რამე უცხო ცნობებს მისცემს,
როგორც სხვადასხვა სენთა შესახებ, ისევე მათ სამკურნებე-
ლათ. ამას გარდა შეიძლება სხვაც ბევრი რამ ძვირფასი ცნო-
ბები აღმოჩნდეს, რითაც საექიმო მეცნიერება კარგათაც
ისარგებლებს. ჩვენ ამის შესახებ ყველას ვერ მოვთვლით, თუ
ქართული მკურნალობის გაცნობით რა სიმდიდრე შეიძლება
ექიმობამ შეიძინოს, ამას ჩვენ გვათქმევინებს მხოლოდ ქარ-
თული სამკურნალო წიგნების სიძველე, მისი სიმდიდრე და სხვა
ასეთი ცნობები.

სჩანს ჩვენს ძველებს ექიმობის მნიშვნელობა კარგათ
სცოდნიათ, სცოდნიათ, რომ ამ სწავლაზე ძვირფასი სწავლა
და მეცნიერება სხვა არა ყოფილარა. ბევრს ძველ წიგნებში,
აქიმნი და დოსტაქანრი მოხსენებულნი არიან, როგორც ბრძენ-
თა ბრძენი „მაღალ გონების მექონნი მოციქულნი და უდი-
დესათ განსწავლულნი, ექიმებს და დოსტაქრებს ცოდნას
ლმერთი აძლევსო, იგინი ლირსნი არიან ლვთის წყალობი-
სა და ამიტომ ლმერთი ანიჭებს მათ ამასო, ლვთის ასეთ
წყალობას უველა ვერ ელირსებაო“.

„ექიმნი და დოსტაქანრი არიან ისეთნი მსწავლულნი
და მცოდნენი, რომელთაც შეუძლიანთ სული კაცის მოკ-
ლან, გააქრონ და არც გააქრონ და არც აცოცხლონო“.
ჭემარიტათ, რომ ეს ასეც უნდა ითქვას, რადგანაც კარგს
ექიმს ყველაფერი შეუძლიან, იგი თავის შემძლებლობით კაცს
მოარჩენს კიდეც და მოკლავს კიდეც. ეს არამც თუ ძველათ
შეიძლებოდა, რომ ქართველ კაცს ეფიქრა, არამედ ეს დღე-
საც ასევე უნდა ვითიქროთ და ექიმობა მეტად მაღალ მნიშვ-
ნელობით უნდა შევმოსოთ.

ქართველთა შეხედულება, რომ ძველათ კარგათ ყოფილა
გარკვეული და შემუშავებული, ამას ცხადათ ამტკიცებს ის
გარემოებაც, რომ „ვეფხვის ტყაოსანში“ მოხსენებულია, რომ
„რა ექიმი დასწულდეს და შესწუხდესო, მან უსათუოდ
სხვა ექიმი უნდა მიიხმოს და სხვას უნდა გაეშინჯოს,
რომ ავადმყოფობა შეუტყოს. მაჯის ცემა გაუგოს და
სხვაო“.

დარწმუნებული ვართ, რომ ოდესმე, ქართული „კარა-
ბალიმების“ შესახებ მთელი მწერლობა დაარსდება, ვრცელი
ისტორია, რაც ბევრს რამ საყურადღებო ვითარებას გამოა-
ჩენს ქართველი ერის ჭიუა-გონებისას, ქართველთ ტომის ძვე-
ლი კულტურისას. ქართული სამკურნალო მწერლობის შე-
სწავლას და გარჩევაში, მეტათ დიდი მნიშვნელობა უნდა მი-
ეცეს შელოცვების შესწავლის ისტორიასაც. ჩვენში შელოც-

ვები და წამლობა ისეა ერთმანეთთან გადაბმული, რომ მათ კაცი ერთი-მეორისაგან ვერ განაცალკევებს, ვერ დაანაწილებს. ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ საქართველოს ერში ჯერეთ შელოცვები ყოფილა გავრცელებული, როცა ერს მკურნალობა და წამლობა არ სცოდნია, მაშინ მას სცოდნია შელოცვები და ამ შელოცვებით ავათმყოფის მორჩენა, დაიმედება, სრულიად განკურნვაც. ეტყობათ კარგათ, რომ ეს შელოცვები მეტათ უძველეს დროში უნდა იყოს შემოტანილი და გავრცელებულ-მოფენილი. როგორც შევისწავლეთ, ქართული შელოცვები სამ ნაწილათ უნდა გაიყოს, სამ ხანად, სამნაირად, ანუ სამ რიგის თვისების მექონ შელოცვებათ. ამას ჩვენ ჩვენის შეძლების გვარათ დავანაწილებთ. ბევრს შელოცვები სულელობათ მიაჩნიათ. ჩვენ კი ასე არ ვუყურებთ ამას, ჩვენ მას ავათმყოფის რწმენათ ვსოფლით, რომ შელოცვების რწმენით ავათმყოფი რწმენით მორჩეს. შელოცვები პირდაპირ ამ რწმენისთვის უნდა იყოს გამოგონილი. მე შევისწავლე ჩვენებური შელოცვები. ამ შესწავლით იგი სამ ნაწილათ გავყავი, სამ რიგათ, სამ წყობათ, სხვადასხვა დროის გამოსახატავად.

პირველი რიგას შელოცვები ეკუთვნის უძველეს დროთა ხალხის გონებითი აზროვნების ვითარებას. ამ ხნის და რიგის შელოცვებიდან ცხადათ სჩანს ის საგანი, რომ ხალხში ექიმობა ჯერედ არ უნდა ყოფილიყოს გავრცელებული. უბრალო ბალახების თვისების და მარგებლობის მცირე ცნობაც არ უნდა სცოდნოდათ. როგორც ბალახების არ ცოდნა, ისევე მათ ემჩნევათ სხვადასხვა ნივთიერებათა, ლითონთა და ქვათა თვისებათა არ ცოდნა, არ გაგება. მაგალითებრ, პირველ რიგის შელოცვებში იგულისხმება ასეთი მიღრეკილება: ერთს ავათმყოფს. მუხლზე მუწუკი აქვს, მუწუკი დაჩირქიანებულა, მერე პატარა მატლები დახვევია. მუხლები აყროლებია, ხან მუწუკი ჰქავა, ავათმყოფი სწუხდება, მატლები მუწუკს არ სცილდებიან. ავათმყოფს ტანზე ბუგრი უჩნდება მრავალი მატ-

ლები აწუხებენ, ამ დროს ისეა საჭმე დაყენებული, რომ მათ თბილი წყლით მობანვაც არ იციან, მარილს ხსნიან წყალში და მარილ-წყლით ბანვენ. ასევე უშვრებიან თვალის ტკივილიან კაცს. ამ დროს შელოცვებში ჩამოთვლილია შაბი, მარილი, კირი, მელი, თეთრი მიწეულობა, ოხრა, უმრა და სხვანი. შელოცვა ეუბნევა მატლებს და სატკივარს: „მატლებო ჩამოდით მუწუკიდან, თორემ მოვიტან მარილ წყალს და-გბანთ, დაგწვამთ, დაგბუგრავთ სულა, მაშ მალე ჩამოდით, ჩქარა, თორემ ვხსნით წყალში“. ასეთ შელოცვებში ხსენებული ლითონნი ისე მოიხსენებიან როგორც მაშველი რამე, ანუ წმინდანები. ლითონს მიმართვენ მუდარებით, რომ შენ უშველე ამა და ამ სატკივრიან ავაღმყოფსაო. ამ შელოცვებ-ში აქა-იქ მავნე სულთა ხსენებასაც შეხვდება კაცი, წამალმა თუ არ გასჭრა, ან აწყინა ავათმყოფს, ეს იქნება მავნე სუ-ლის ბრალი.

ხშირათ მოხსენებულია: ავაღმყოფის სიმაგრე, გაფოლა-დება, სიმძლავრე, რომ იგი სულით გამაგრდეს, ხორცით გა-ძალუანდეს და მის მეოხებით კარგათ გახდეს. მართლაც, ავაღ-მყოფი ხშირათ ინერგავს გვამში მხნეობას, სიმძლავრეს, ძა-ლუანდება ბევრის რამით, შელოცვის მეოხებით გულში ინერ-გავს იმედს და ბოლოს მით რჩება კიდეც.

მეორე რიგის შელოცვებში ხსენებულ საგანთა ნაცვლათ მოიხსენება ბალახები, ღმერთი, გამჩენელი, ვარსკვლავები, მთვარე, მზე, ქარი, ელვა, ქუხილი, წვიმა, სიცხე, სინათლე, სიბნელე და ბევრიც სხვა ასეთნი. ავაღმყოფს ხშირად იმედე-ბიც ეძლევა. რომ იგი კარგათ გახდება, მორჩება და მოისვე-ნებს. აქ ბალახებიც მოიხსენიებიან და იქებ-იდილებიან, რო-გორც მარგებელნი, მღვთისაგან გაჩენილნი და კაცისათვის გამოსადვგნი. აქ ზეციურ ძალებზედაც დიდი იმედები და სა-სოება აქვს წარმოდგენილი. ცხადათ სხანს, რომ ამ შელოც-ვების დროის ხალხს ყველაფერი სწამს: საიქიო, სააქაო, სა-მოთხე-ჯოჯოხეთი, ეშმაკები-ანგელოზები, ცხონება და წაწყ-

მედა. ესენი აშკარათ მოიხსენიებიან შელოცვებში, ხშირათ მაღლა ზეცასაც მიმართავენ. ამ მიმართვის მეოხებით იგინი უადვილესად რწმუნდებიან მასზე. რომ მათი შელოცვები და მუდარება უმნიშვნელოთ არ დარჩება, და რომ ყოველ მათ შელოცვას ნამდვილი მნიშვნელობა ექმნება, ნამდვილი გზა და ესენი ამით ადვილათ მიახწევენ თვით შემომქმედ უხილავ გამჩენამდისაც.

ასეთ შელოცვებში ზეციურ უხილავ ძალთა გარდა მოხსენებული არიან მრავალნი ისეთ პირთა სახელები, რომელნიც ნათლად კერპთ თაყვანის ცემის დროს მოგვაგონებს, ხალხის შეხედულებას კერპთ სათაყვანებელ ძეგლებზე და სხვა ათას ამგვარებზე. ამეებს გარდა იქ მოიხსენება კიდევ მრავალი სხვადასხვა შეშინებულთა და ავათმყოფთა გარემოება და მდგომარეობა.

მაგრამ ყოველ ლოცვაში ის აზრია მაინც დაცული, რომ ავათმყოფს სიმხნევე უნდა, გამაგრება, გაფოლადება და გაძალუნება. ამაებთან წამლებისადმი მუდარებაც მოიხსენება, რომ შენ ესა და ეს წამალო ამა და ამ სატკივარს არგეო. მაგალითად, თვალის შელოცვაში მოხსენებულნი არიან თვალთ ამხელნი გამჩენნი, რომლის მიხვედრაც მართლაც და იმდენათ საყურადღებოა, რომ შეიძლება იგი მარგებელიც ყოფილიყოს. წინეთ თუ თვალს მლაშე წყლებით ბანდნენ და იქნება მით ხშირათ ვერას აწყობდნენ, მერე შელოცვებში ესენი შეიცვალნენ ბალახებზე. ამ მეორე რიგის შელოცვებში მოხსენებულნი არიან მრავალნაირი ყვავილნი, ბალახნი, ვარდნი, ია, მათი გამოხარშვა და ვარდის წყლით ბანვა. ეს რასაკვირველია, უფრო ჰკუასთან ახლოა და ამას თავის გამოცდილების ბეჭედიც აზის. ეტყობა, რომ ეს შელოცვები უფრო ჰკვიანი ექიმობის მცოდნე კაცებთაგან უნდა იყოს შედგენილი. არის კიდევ მეორე დროის ისეთი შელოცვებიც, საღაც მოხსენებულია ამირანი, ცხრა თავიანი მდევები, გველეშაპები, ზოგიერთი პირების დაბადების და თითო-ოროლა სახელი კერ-

პობის უკანასკნელი დროების წმინდანები. ეს შელოცვები უფრო შეშინებულებს შეეხება და ამაებში სხვადასხვა საწამლავ ნივთთა სახელები არ მოიხსენება.

მესამე რიგის შელოცვებში მოხსენებულია ქრისტიანი წმინდანების სახელები. ამ შელოცვებში მოსპობილია ყოველნაირ ნივთების მოხსენება. აქ იხსენება წმინდა სანთელი, ბამბა, ნართი, ბატკანი, შანა, ოეთრ-წითელი ტანთ-საცმელი და სხვანი. შელოცვები ისეთნაირის სიტყვებით არის შედგენილი, რაის მეოხებათაც ჩვენ ვრწმუნდებით, რომ იგინი ჩვენი მწიგნობარ ბერებისაგან უნდა იქმნეს შედგენილნი. ისეთი ბერებისაგან, რომელთაც მცირე ექიმობის ცოდნაც უნდა ჰქონდათ, მათ ამის ვითარება საბერძნეთში და ურიასტანში გაეცნათ. ცხადია რომ ასეთის შელოცვებით, იგინი თავიანთ წამლებს და მკურნალობას უფრო მეტს, ძრიელს მნიშვნელობას აძლევდნენ და თან საღმრთო ხასიათსაც ანიჭებდნენ. ამათ თავიანთ შელოცვებს შესანიშნავი მიმართვა მისცეს. ხალხმა იგი მკაცრათ იწამა, მას ისეთი მნიშვნელობა მიანიჭა, როგორათაც ძველათ, ევროპის გაუნათლებელ ერთ სწამდათ შელოცვები,* რომ შელოცვები ლვთისაგან გვაქვს მოცემულიო. ჩვენ, რომ ამ შელოცვებით ღმერთს ვევედროთ, მაშინ შეიძლება, რომ მან ჩვენი ვედრება შეისმინოს, წამალი განგვიკარგოს და ჩვენც ავადმყოფობისაგან კარგად გავხვეთო.

ჩვენშივე იცოდნენ პირუტყვების შელოცვაც, ამ შელოცვებშიაც ჩამოთვლილია ისეთ ნივთებთა სახელები და საგნები, რაც პირუტყვთათვის სასარგებლოთ უნდა ჩაითვალოს; იგი უფრო უახლოვდება ბეითალთა სწავლის ცოდნას. ესეც კარგათა სჩანს, რომ ამ შელოცვების შემდგენნი ბეითლობის მცოდნენი უნდა ყოფილიყვნენ. დროის განმავლობის მეოხებით შელოცვები კართველ ხალხში დიდის სიმტკიცით მოიფინა, მან თითქმის საკურნებელი სახე მიიღო. უკანასკნელათ

*) ქარლ ფოგტ, ლექცია 1865 გ. Петрогრადъ, II თ.

ისე მოეწყო საქმე, რომ როცა საქართველოში მკურნალობა გავრცელდა, ექიმნი და დოსტაქარნი გაჩნდნენ, წამლების კეთება გაჩაღდა და სხვანი; მაშინ არც ერთი ავადმყოფი არ მიიღებდა არც ერთს წამალს დასალევად, რომ მისთვის მკურნალს ან სხვა ვისმეს არ შეელოცა. უამისოდ ავათმყოფისთვის წამლობა უბრალო იქნებოდა, იტყოდნენ მაშინ „იგი ვერ გასჭრისო“. ეს აზრები იყო ერთი წინ წასული, რომ პირველ, შემდეგ და საშუალო საუკუნოების ქართველთ მკურნალებმა და დოსტაქრებმა საჭიროთ დაინახეს ქართველთ ერის ყველა შელოცვები თავის სამკურნალო ნაწილში შეეტანათ და მით შეესრულებინათ ერის გონების მოთხოვნილება. ეს ასეც ჰქნეს, შეკრიბეს ყველა შელოცვები და თავის სამკურსალო ნაწილში მოათავსეს. ამ გარემოებამ რასაკვირველია ერთის მხრით ცრუ მორწმუნოებას უფრო მაგარი ფრთები შეასხა და გაამაგრა ისეც ცრუმორწმუნე ხალხში. ეს, რასაკვირველია, პირველათ ზეპირათ ექმნებოდათ დახსომებული. რადგანაც, პირველ დროებში, ქართველ ექიმებს და დოსტაქრებს, წამლობაც ზეპირათ სცოდნიათ. მათ ამის შესახებ წიგნები არა ჰქონიათ. სამკურნალო წიგნები საქართველოში ქრისტიანობის პირველ საუკუნოების შემდეგ უნდა იყოს შემოსული. ქართველ ერის შელოცვების შეკრებამ, დახსომებამ და მერე სამკურნალო წიგნებში მოთავსებამ დიდი მომხრეობა გაუწია თვით ქრისტიანობის მოფენის საქმესაც.

შემდეგ საუკუნოებში ეს შელოცვები ჩაექსოვათ თვით ქრისტიანობის წარმომადგენელ მამებსაც გულში. მათ ეს შელოცვები ბრწყინვალის განათებულის შუქით შემოსეს, მათ შელოცვების რწმენაც შეურყეველ კეშმარიტებათ მიიღეს და მერე შელოცვებიც და მკურნალობაც ერთმანეთს გადააბეს, ერთი მეორეს დაუკავშირეს ისე, რომ ვერც ერთი ქართველი მკურნალი ავადმყოფს ვერ მისცემდა რამე წამალს, რომ მას მისთვის არ შეელოცა. შელოცვების რწმენა ისე წავიდა ქართველებში წინ, რომ ქრისტიანობის წარმომადგენელ მაძებმაც

შეკრიბეს ის არაბული და თათრული ლოცვებიც და მოათავსეს ქართულ ლოცვებთან, რომელ არაბულ-თათრულ შელოცვებიც ძველად უნდა გავრცელებულიყოს საქართველოში. ჩვენის მოსაზრების დასამტკიცებლათ, წარმოადგენენ ფაქტს, დღევანდლამდე ჩვენში დარჩენილი „კარაბადამები“ სადაც მოთავსებულია მრავალი შელოცვები, უფრო კი უძველეს დროის ხელთნაწერებში, თორემ შემდეგ საშუალო საუკუნის დროის ხელთნაწერებში ესენი ისე ხშირათ არ მოიპოვება. შელოცვების შესახებ ჩვენ არას ვიტყვით, თუ ხშირათ ამითი ვინმე ავათმყოფი რჩებოდა თუ არა, რადგანაც ამას ძველათ სამკურნალო მიმართულება ჰქონდა მიცემული და შემდეგ საუკუნოებში იფი გადაბმულ იქნა სამკურნალო მწერლობაზე, მეც ამიტომ შევეხა აქ ასე მოკლეთ. მე მრწამს, რომ შელოცვები ბუნების მოვლენათა ცუდათ გავების ვითარებამ დაბადა,*) ელვამ, ქუხილმა და ქარმა, რაც შემდეგ მრავალთაგან დაჭრეშმარიტებით იქმნა მიღებული. ასე და ამგვარათ ჩვენ შევამჩნიეთ ჩვენს შელოცვებს, რომ, თუმც იგინი წინეთ ცრუ მორწმუნე პირებისაგან ყოფილან გამოგონებულნი და შედგენილნი, მაგრამ მათაც მოუტანიათ თავიანთ კვალად სარგებლობა.

როგორც მოვიხსენეთ, ჩვენს ხალხში ბევრი ამაოდ მორწმუნეობა არის გავრცელებული. ზოგ ცრუ მორწმუნეობაში კერპობის ანუ წარმართების დრო გამოიხატება, ამიტომაც ეხლანდელი ჩვენი ხალხის ცრუ მორწმუნეობა ეკუთვნის იმ დროს, როდესაც ჩვენში წარმართობა იყო მოფენილი. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ იგი შვიცვალა. მან სხვა სახე მიიღო. კერპთ თაყვანის ცემის წიგნები ქრისტიანობის ნიშნებით მოირთო. ამაოდ დარწმუნებას ისეთი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებში, რომ მას ამკობდნენ და აღიდებდნენ თვით მგოსანნიც, ექიმნი და დოსტაქარნიც, რომ სხვა

*) ქართველი მეცნიერი კარლ ფოგტი, ლექცია 1865 წ. ქართველი მეცნიერი კარლ ფოგტი, ლექცია 1865 წ.

და სხვა მნიშვნელობით რთავდნენ ამას. ძველად ქართველებში ყვავილით, ჩუტყვავილით, წითელით, ქუნთრუშით, თვალის ტკივილით და ასეთი რამე სნეულებით, რომ გახდებოდა ვინმე, ისინი ამ ავადმყოფობას „პატონებს“ ეძახდნენ, ე. ი. ნაზ სატკივარს. ეს სატკივრები ანგელოზის მოგონილია; თვით ანგელოზები არიანო. ამას, რასაკვირველია, ექიმნი და დოსტაქარნი ავრცელებდნენ, რაღვანაც მათ ესმოდათ ამ სატკივრების ვითარება. ამ სატკივრების ვითარებას და მკურნალობას წმინდათ საღმრთო ზნეობრივი მოვალეობის მზგავსი მოვლა აქვს მიცემული.

ამას ყველა პატივს ცემს, ყველა მოწიწებით უცქერის, თუმც მორიდება ისე იციან, რომ ზოგ სატკივართ შორეულთ გარდა, თვით შინაურნიც ერიდებიან. ესეც ჩვენ ექიმთა და დოსტაქართა წყალობა იყო: მათ იცოდნენ, რომ ასეთ სატკივართ ისე არა ეშველებოდარა, როგორც მორიდება, რომ იგი არ გავრცელებულიყო, ამიტომაც იგინი მორიდებას ავრცელებდნენ. ამბობენ, რომ ამ სატკივართა ვითარება და მოვლა-მოწყობა სპარსეთში, არაბეთში, ქალდეიაში, ურიასტანში და სომხეთშიაც ასევე იყო გავრცელებული, ვითომც ამ სატკივართა შოვლა მათ ძველ წიგნებშიაც ყოფილა აღწერილი. ქართველთ ექიმთ და დოსტაქართ ვითომც მათგან შეუსწავლიათ. ვინ იცის, შეიძლება, ეს ასეც იყოს ზემოთ ხსენებულ სატკივრებში ყველაზე მეტაოკი ჩუტყვავილს ერიდებიან, ეს კი ვერაფერია, ყელჭირვებას და ყივანა ხველას კი იგინი დიდს მნიშვნელობას არ აძლევდნენ. ცოტად ხუნაგს აქცევდნენ ყურადღებას. როდესაც ზემო მოხსენებულ სატკივრებით ვინმე ავად გახდებოდა, მაშინ ავადმყოფთა პატრონები მკურნალების დარიგებით აი რას აკეთებდნენ:

ავადმყოფს დააწვენდნენ ცალკე სუფთად ლოგინში, ზევიდან დახურავდნენ ფარჩის საბანს, ან დიბას გადააფარებდნენ. თუ ეს არ ექნებოდათ, მაშინ ყანაოზს, ან ყალამქარს, რაც კი იქნებოდა ასეთის ნაზის თვისების. ავადმყოფის ახლო

კედლებზე ჩამოაფენდნენ სუფთა ფარჩეულობას, მის გვერდით გაშლიდნენ სუფრას, ზედ დააწყობდნენ ხილს, ყვავილებს და ასეთ მორთულებას, რაც ავაღმყოფობას, ან ბატონებს მოეწონებათ. ამავე დროს იგინი აკეთებდნენ „ბაზმას“ საკმეველათ. ამ ბაზმას უკმევდნენ ანგელოზებს, ანუ ავაღმყოფს. ეს მოხერხება მეტად ჭკვიანურია და არ შეიძლება, რომ იგი ჩვენ მკურნალთაგან არ იქმნეს ძველად გავრცელებული, რაღაც ასეთ რამეებს ჩვენ ჩვენს ძველ კარაბადიმებშიაც ვხვდებით აქა-იქ აღწერილო. „ბაზმას“ აკეთებდნენ ამნაირათ:

რამდენიმე კაკლის ლებანს ჩაჰყრიან ფილში, ჩაურევენ ბამბას, ცოტა ყინვა-შაქარს, მერე ყველა ამაებს ერთად დანაყავენ; დანაყვის შემდეგ კოშტებათ გააკეთებენ, თითო კოშტს თითო სიპ ქვაზე დასდებენ, სახლში კედლების წინ ჩამოამწკრივებენ და ცეცხლს მოუკიდებენ. „ბაზმა“ ბოლოვს, ამის სუნი ვითომც ანგელოზებს იამებათ. ის კი უნდა ითქვას, რომ მგონი, ეს ბაზმა მოგონილი უნდა იყოს ძველ მკურნალთაგან ჰაერის გასაწმენდათ და, როგორც ვატყობთ, ასეც არის. იგი ჰაერს სწმენდავს კარგათ. იციან კიდევ შაქარ ვარდის წყალის მომზადება და მით ავაღმყოფის ლოგინის გარშემო მორწყვა, რაც ვერაფერ საქმეთ ჩაითვლება, ვინაიდან შაქრის წყლის მეოხებით ავაღმყოფს ბუზები ეხვევა. ვფიქრობთ, რომ ფარჩეულობის გაფენასაც რამე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამ სატკივრებზე და ეს მეცნიერულათაც არის შენიშნული, რომ სხვადასხვა ფეროვან ნივთებს თავისთვის მნიშვნელობა აქვსთ, თვისი ვითარები, მიმზიდველობა და ბევრიც სხვა რამ, რასაც თვით ქიმიაც გვასწავლის. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ამ ფარჩა-ფურჩებს დიდი ზე გავლენა უნდა ჰქონდეს სსენებულ ავაღმყოფობაზე, იგი მის გაუქმებას უნდა შველოდეს, ავაღმყოფს უნდა რგებდეს უსათუოდ. დღეს ამ წესებს და ჩვეულებებს სხვანაირი თვალით უყურებენ და მე კი ასე ვფიქრობ და ვამბობ, რომ ესენიც ჩვენი მკურნალებისაგან უნდა იყვეს შემოტანილ-გავრცელებული სახალხოთ.

იციან კიდევ მშობლებმა თავიანთი რძით მორწყვა ავადმყოფის გარშემო და ლვთის მუდარება, კარგათ გახდენის შემდეგ ხატთან წაყვანა, რაც მართლაცა და, ასეთ ავათმყოფებს ძლიერ რგებდა ეს, რაღაც იგი ოთახის ჰაერს იცვლიდა. ეს იმ შემთხვევაში თუ მას არ გააციებდენ, თორემ ბევრს შეაქცევდა და უარესადაც გახდებოდა, ამასაც, რასაკვირველია ჩვენი ექიმნი და დოსტაქარნი ურჩევდნენ. ამათგანვე ძველათვე აკრძალული იყო ხსენებულ სატკივრიან ავადმყოფებთან ცხელი ქვაბის შეტანა, იქ რამის მოხარშვა, გარეცხვა, ცეცხლის ანთება, აბოლება და ბევრიც სხვა ამ გვარნი. ხმა მაღლა ლაპარაკსა, გინებას და ბილწ სიტყვებსაც უნდა ერიდონ, რაღანაც იგი ანგელოზებს სწყინსო. ესეც ბრძენ ექიმთაგან არის გავრცელებული, რომ ავადმყოფი მოსვენებული იყოს და არავინ შეაწუხოს რამით. ასეთ სენთა საკურნებელად ძველათ სიმღერებიც იცოდნენ. ამ სიმღერებს „იავ-ნანა“ ეწოდება. ამით ალხენდნენ ავადმყოფს, რაღანაც ერთობ კარგის ნაზის ხმით უმღერდნენ. ამას ავათაყოფზე დიდი ზე გავლენა ჰქონდა, იგი სულიერდებოდა, ძალას იკრეფდა, სახსარს და ხშირათ ამ მოსულიერებით კარგათაც ხდებოდა. არ იქნება მეტი, რომ ეს სამღერალი ლექსები აქ მოვიყვანოთ, რაღანაც მათი წაკითხვა და გაცნობა აქვე არ იქნება მნიშვნელობას მოკლებული. დარწმუნებული ვარ, რომ მკურნალობის მკოდნე მსწავლულნი ამას თავისებურ მნიშვნელობას მისცემენ საეჭიმო ისტორიის მასალათა ნაწილში. მგონი, რომ ყველა ზეპირ გადმოცემასაც კი მკურნალობის შესახებ საკმარისი მნიშვნელობა უნდა მიეცეს. ხოლო მათ შეკრება უნდა, ოდესმე იგინი ამ საგნის ისტორიაში დიდ იდგილს დაიკავებენ. მეც ამან გამაბედვინა და ამ წერილში ბევრი რამ ცნობები მაქვს მოთავსებული, რომელნიც ჩვენმა ძველმა ექიმებმა და დოსტაქრებმა მიამბეს. ასეთ ექიმთა რიცხვი ნელნელა მცირდება და მათთან ისპობა ბევრი რამ საეჭიმო გარდ

მოცემანი და მით ქრება ჩვენი ერის განვლილ დროთა ბევრი რამ ღირს სახსოვარ ცნობანი და გარდმოცემანიც. ეს რისხვა ქართველ ერის ისტორიულს ღირსებას რუსეთის მთავრობის ბოროტებამ მოუვლინა 1801 წ. შემდეგ. ეს რომ ასეა, ამის ცხადი დამამტკიცებელი საბუთი გახლავსთ შემდეგი გარემოება.

ქართველებს თუ ძველთაგანვე ჰქონდათ აღორძინებული კულტურული ცხოვრება, თუ ქართველ ერში იწერებოდა „ვეფხის-ტყაოსანი“ და ასეთი წიგნები, სადაც მოიხსენებიან ქართველთ მკურნალნი და დოსტოქარნიც, უეჭველია, იმ დროის ქართველებს მკურნალებიც ეყოლებოდათ და სამკურნალო წიგნები — „კარაბაღიმები“.

მხოლოთ უამთა ვითარების წყალობით, ასეთ წიგნებმა ჩვენს დრომდის თავიანთის აღსავსეობით ვერ მიაღწიეს. ასე გამოდის, რომ თითქოს ქართველები ისეთი ველურები იყვნენ, რომ მათ არც მკურნალები ჰყვანდათ და არც მკურნალობა იცოდნენ. გარემოებას თუ დავაკვირდებით. ეს კი ასე არ არის, ამიტომაც მე შევაღვინე ეს აღწერა, სადაც აღნუსხულია ძველ ქართველ მკურნალთა და დოსტოქართა ცხოვრების ცნობანი და მათგან დაწერილ და დატოვებულ სამკურნალო წიგნების „კარაბაღიმების“ აღწერანი.

ჩემი ხელთნაწერი არის ვრცელი ტომი, ამის ერთათ გამოცემა ძნელია. ამიტომ გავგედე ასე პატარა წიგნებათ ბეჭდვა. ეს ხელთნაწერი 1900 წ. გაიცნა პატივცემულმა პროვინციულმა ილია ალხაზიშვილმა და მან ამ წიგნის აღწერა რუსულს ენაზედ დასწერა, რომელ აღწერაც 1901 წ. რუსულ უურნალ „კავკასკი ვესტნიკში“ დაიბეჭდა და მერე ცალკე წიგნათაც გამოვიდა, რაც დღეს ერთობ იშვიათია.


ჩემს წიგნში აღწერილია ქართველ ერის მკურნალობა ქრისტეს წინა დროდამ, მკურნალობა ქრისტეს დაბადების დროს, მირიან მეფის შვილი და მისი ცოდნა ბედაურთ მკურნალობისა, წმ. ნინო, როგორც მკურნალი — ანდრია მოციქული, რო-

გორც მკურნალობის მცოდნე. — შემდეგი დრო, ანუ VI საუკუნე, ვახტანგ გორგასლიანი და ამის შვილი, ვახტანგის დროს, ქართველი ერი მკურნალობით წინაურდება.

შემდეგი დრო, ანუ არაბებისაგან საქართველოს დამორჩილება, ქართველნი სწავლობენ არაბულს ენას და მწერლობას. არაბულის ენიდამ სთარგმნიან ქართულს ენაზედ ჯანაოზ ექიმის კარაბადიმს. არაბების განდევნა საქართველოდამ, დავით აღმაშენებლის გამეფება, მკურნალობის განვითარება, ამას ცხადი წარმატება ეძლევა, „ქართლის ცხოვრების“ სიტყვით, დავით აღმაშენებელი საქართველოს სოფლებში ხსნის ქსენონებს, ამრავლებს წამლებს.

XII საუკუნეში. თამარ მეფის დროს, ქართულ მკურნალობას უდგება ოქროს ხანა. ქართულს ენაზე სთარგმნიან ისეთ ვრცელს „კარაბადიმებს“, როგორც არის ხოჯა ყოფილის კარაბადიმი. ასევე იწერება სხვაც ბევრი კარაბადიმები — შემდეგ დროს, მეტაშეტე საუკუნე — სრუსულან დედოფლის სურვილით საქართველოში შემოდიან რომის მისიონერები და ამათ თან შემოაქვსთ ევროპიული მკურნალობა, ამ დროდამ იწყება ევროპიული მკურნალობის მოფენაც ქართველებში.

მერე საქართველოსთან ერთათ მკურნალობაც ეცემა. XV საუკუნის დამდეგს, ქართულს ენაზედ სთარგმნიან ზამახშარის წიგნს, სახელდობრ „მუნთა ნაფი შეას“, რომელ ვრცელი კარაბადიმიც რუსულათ აღწერილი აქვს და გარჩეული პატივ-ცეაულ ექიმს აბელ. იაშვილს. XVII საუკ. ქართული მკურნალობა აღორძინებას ეძლევა XVIII საუკ. ბოლომდე იგი კარეა შინაურდება, XVIII საუკ. ნახევარს, თფილისში საექიმო სკოლა და აფთიაქებიც იხსნება, XIX საუკ. დადეგიდამ ქართული მკურნალობა ისპობა, მის ადგილს იკავებს რუსული მკურნალობა.



18. የኩ. የየወጪቃለንግልიው አካላ:

უნდა በሆነ— „አምስትና, ስጂም ዓይነትና አቅራቢው የሚከተሉት ደንብ በኩል የሚያስፈልግ ይችላል፡፡

አንድ— የሚከተሉት ደንብ በሆነ— የሚያስፈልግ ይችላል፡፡

305.